# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

## ბრძანება №584

თბილისი „20“ 06 2018 წ

**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2018 წლის 16 ივნისის N735065 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების გამოცხადების პირობების გასაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 ივნისის N575 ბრძანებით ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გამოცხადებული გრიფირებისას წარდგენილ გრიფირების განაცხადებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოსაზრების წარდგენის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცდეს „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი“ ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

ალექსანდრე თევზაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი